



მთლიანი შიდა პროდუქტი

2019 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა (მიმდინარე ფასების მიხედვით) შეადგინა 4 997.6 მლნ ლარი, რაც ქვეყნის ანალოგიური მაჩვენებლის 10%-ია. რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური ზრდა განისაზღვრა 24%-ით, ხოლო რეგიონის მშპ-მ ერთ სულზე გაანგარიშებით შეადგინა 14 318 ლარი.

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა (აჭარის ა.რ.)




მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (აჭარის ა.რ.)



აჭარის მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა მშენებლობა (20%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (14%) და ვაჭრობა (10%). რაც შეეხება ეკონომიკის რეალური სექტორის დარგებს, დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 5%, ხოლო სოფლის მეურნეობაზე - 4%.

მთლიანი შიდა პროდუქტი სექტორების მიხედვით (აჭარის ა.რ. / 2019 წ.)



| მიმდინარე ფასები, მლნ ლარი | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|--|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 142.5 | 129.1 | 135.5 | 145.2 | 170.2 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 15.6 | 16.2 | 17.2 | 19.4 | 32.4 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 131.4 | 117.4 | 143.7 | 167.4 | 237.3 |
| ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება | 25.2 | 27.4 | 31.8 | 41.6 | 54.8 |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები | 11.2 | 11.8 | 13.3 | 12.4 | 19.0 |
| მშენებლობა | 354.8 | 399.6 | 409.1 | 581.1 | 870.8 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 252.3 | 290.5 | 337.7 | 371.6 | 445.8 |
| ტრანსპორტი და დასაწყობება | 209.7 | 193.7 | 202.0 | 254.5 | 296.5 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 214.0 | 226.1 | 278.4 | 318.8 | 450.6 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 58.0 | 83.2 | 69.4 | 73.1 | 37.5 |
| საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | 183.2 | 192.9 | 147.2 | 128.0 | 125.9 |
| უმრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 458.4 | 486.8 | 515.2 | 540.4 | 608.3 |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 39.4 | 41.4 | 36.3 | 53.5 | 91.8 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 25.2 | 33.2 | 48.4 | 49.6 | 52.7 |
| სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება | 223.1 | 171.5 | 218.7 | 235.7 | 271.1 |
| განათლება | 192.0 | 163.1 | 155.2 | 167.8 | 182.4 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 122.7 | 189.6 | 143.9 | 164.2 | 195.0 |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 97.0 | 190.4 | 132.6 | 131.9 | 206.6 |
| სხვა სახის მომსახურება | 18.3 | 33.7 | 19.5 | 30.1 | 21.5 |
| შინამეურნეობების, როგორც დამკირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება | 1.8 | 2.8 | 4.4 | 5.3 | 7.1 |
| შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის | | | | | |
| მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში | 2,775.7 | 3,000.4 | 3,059.6 | 3,491.5 | 4,377.1 |
| (+) გადასახადები პროდუქციაზე | 358.1 | 423.0 | 485.1 | 543.0 | 644.2 |
| (-) სუბსიდიები პროდუქციაზე | 14.5 | 16.0 | 16.4 | 18.9 | 23.7 |
| მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში | 3,119.3 | 3,407.3 | 3,528.2 | 4,015.6 | 4,997.6 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენელი წონადი სექტორების გამოვლენასთან ერთად, მნიშვნელოვანია ასევე ცალკეული სექტორების ზრდის ტემპების შეფასება. ამ თვალსაზრისით, 2019 წლისათვის ყველაზე მაღალი ტემპით მზარდ სექტორებს წარმოადგენდა: პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური სექციონები (72%); სამთომოპოვებითი მრეწველობა (67%); ხელოვნება, გართობა და დასვენება (57%).

დასაქმება

რეგიონის ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ (სამუშაო ძალამ) 2020 წელს შეადგინა 155.1 ათასი კაცი, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის 44%-ია. აქტიურ მოსახლეობაში დასაქმებულთა რაოდენობა განისაზღვრა 126.1 ათასი კაცით, ხოლო უმუშევართა რაოდენობა - 29.0 ათასი კაცით. უმუშევრობის დონე აღნიშნული პერიოდისთვის შეადგენდა 18.7%-ს, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი - 953 ლარს (2019 წ.).

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება (აჭარის ა.რ.)


| ათასი კაცი | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|-------|-------|-------|-------|-------|
| სულ 15+ მოსახლეობა | 273.4 | 268.7 | 273.0 | 268.5 | 268.8 |
| სამუშაო ძალა (აქტიური მოსახლეობა) | 171.7 | 166.2 | 162.1 | 155.4 | 155.1 |
| დასაქმებული | 118.0 | 128.9 | 132.4 | 128.1 | 126.1 |
| უმუშევარი | 53.6 | 37.4 | 29.7 | 27.3 | 29.0 |
| მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ | 101.8 | 102.4 | 110.9 | 113.2 | 113.7 |
| უმუშევრობის დონე, პროცენტი | 31.2 | 22.5 | 18.3 | 17.6 | 18.7 |
| სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე, პროცენტი | 62.8 | 61.9 | 59.4 | 57.9 | 57.7 |
| დასაქმების დონე, პროცენტი | 43.2 | 48.0 | 48.5 | 47.7 | 46.9 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ქონების პრივატიზება და სარგებლობაში გადაცემა

2020 წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ პრივატიზებული უძრავი ქონების რაოდენობამ შეადგინა 21 ერთეული, ხოლო იჯარით გაცემული უძრავი ქონების რაოდენობამ - 6 ერთეული.

პრივატიზებული და იჯარით გაცემული უძრავი ქონების რაოდენობა (აჭარის ა.რ.)



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შინამეურნეობები

მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრად ითვლება ქვეყნის (შესაბამისად, რეგიონის) მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლებისა და საშუალოთვიური ხარჯების განაწილება როგორც მოსახლეობის ერთ სულზე, ასევე ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით. 2020 წელს რეგიონის შინამეურნეობების შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი ხვედრითი წილი იყო წარმოდგენილი დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლები (48%), ხოლო ყველაზე დაბალი წილი მოდიოდა ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე (2%). რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ფულადი და არაფულადი სახსრების ჯამურმა მაჩვენებელმა შეადგინა 302.0 ლარი, ხოლო ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით - 1 284.0 ლარი.

| აჭარის მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლების განაწილება | | | | | | |
|--|---|----------------|----------------|---------------------------------|--------------|--------------|
| | გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე (ლარი) | | | გაანგარიშებული ერთ სულზე (ლარი) | | |
| | 2018 | 2019 | 2020 | 2018 | 2019 | 2020 |
| 1. შემოსავლები, სულ (2+3) | 1 138.3 | 1 260.4 | 1 214.1 | 267.4 | 292.7 | 285.5 |
| 2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები | 1 063.2 | 1 198.5 | 1 143.9 | 249.8 | 278.3 | 269.0 |
| დაქირავებული შრომიდან | 537.8 | 628.7 | 620.4 | 126.4 | 146.0 | 145.9 |
| თვითდასაქმებიდან | 178.1 | 194.1 | 137.5 | 41.8 | 45.1 | 32.3 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან | 29.1 | 45.4 | 36.0 | 6.8 | 10.5 | 8.5 |
| ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაზრიდან) | 20.1 | 35.1 | 17.0 | 4.7 | 8.1 | 4.0 |
| პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები | 167.1 | 180.8 | 224.8 | 39.3 | 42.0 | 52.9 |
| უცხოეთიდან მიღებული გზავნილები | 43.4 | 26.7 | 37.4 | 10.2 | 6.2 | 8.8 |
| საჩუქრად მიღებული ფული | 87.6 | 87.8 | 70.8 | 20.6 | 20.4 | 16.7 |
| 3. არაფულადი შემოსავლები | 75.1 | 61.9 | 70.1 | 17.6 | 14.4 | 16.5 |
| 4. სხვა ფულადი სახსრები | 118.0 | 176.8 | 70.0 | 27.7 | 41.1 | 16.5 |
| ქონების გაყიდვა | 3.8 | 3.6 | 5.5 | 0.9 | 0.8 | 1.3 |
| ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება | 114.2 | 173.2 | 64.5 | 26.8 | 40.2 | 15.2 |
| 5. ფულადი სახსრები, სულ (2+4) | 1 181.2 | 1 375.4 | 1 213.9 | 277.5 | 319.4 | 285.5 |
| 6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5) | 1 256.3 | 1 437.3 | 1 284.0 | 295.2 | 333.8 | 302.0 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2020 წელს რეგიონის შინამეურნეობების ხარჯების სტრუქტურაში სამომხმარებლო ხარჯები შეადგენდა დაახლოებით 78%-ს, მათ შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით (30%) გამოირჩეოდა სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე გაწეული ხარჯები. შინამეურნეობების ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მცირე წილით (1%) გამოირჩეოდა სასოფლო-სამეურნეო ხარჯები. რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ხარჯების მაჩვენებელმა შეადგინა 254.7 ლარი, ხოლო ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით - 1 083.2 ლარი.

აჭარის მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯების განაწილება

| | განგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე (ლარი) | | | განგარიშებული ერთ სულზე (ლარი) | | |
|--|--|----------------|----------------|--------------------------------|--------------|--------------|
| | 2018 | 2019 | 2020 | 2018 | 2019 | 2020 |
| 1. სამომხმარებლო ხარჯები, სულ (2+3) | 904.3 | 982.9 | 847.4 | 212.5 | 228.3 | 199.3 |
| 2. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები | 829.3 | 921.0 | 777.3 | 194.8 | 213.9 | 182.8 |
| სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე | 306.1 | 332.7 | 327.6 | 71.9 | 77.3 | 77.0 |
| ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე | 44.6 | 41.0 | 26.7 | 10.5 | 9.5 | 6.3 |
| საოჯახო მოხმარების საქონელზე | 28.4 | 26.4 | 20.9 | 6.7 | 6.1 | 4.9 |
| ჯანმრთელობის დაცვაზე | 103.2 | 111.3 | 86.3 | 24.2 | 25.8 | 20.3 |
| სათბობსა და ელექტროენერგიაზე | 115.0 | 124.2 | 107.2 | 27.0 | 28.9 | 25.2 |
| ტრანსპორტზე | 85.9 | 126.0 | 79.2 | 20.2 | 29.3 | 18.6 |
| განათლებაზე | 35.7 | 35.4 | 20.4 | 8.4 | 8.2 | 4.8 |
| სხვა სამომხმარებლო ხარჯები | 110.4 | 123.9 | 109.1 | 25.9 | 28.8 | 25.7 |
| 3. არაფულადი ხარჯები | 75.1 | 61.9 | 70.1 | 17.6 | 14.4 | 16.5 |
| 4. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები | 308.5 | 327.4 | 235.7 | 72.5 | 76.0 | 55.4 |
| სასოფლო-სამეურნეო ხარჯები | 12.2 | 11.7 | 11.5 | 2.9 | 2.7 | 2.7 |
| ტრანსფერტებზე | 42.9 | 39.5 | 16.6 | 10.1 | 9.2 | 3.9 |
| დაზოგვაზე ან გასესხებაზე | 224.6 | 227.4 | 191.9 | 52.8 | 52.8 | 45.1 |
| ქონების შეძენაზე | 28.8 | 48.8 | 15.7 | 6.8 | 11.3 | 3.7 |
| 5. ფულადი ხარჯები, სულ (2+4) | 1 137.8 | 1 248.4 | 1 013.0 | 267.3 | 289.9 | 238.2 |
| 6. ხარჯები, სულ (3+5) | 1 212.8 | 1 310.3 | 1 083.2 | 285.0 | 304.3 | 254.7 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.